THE EMERGENCE OF THE UNITED STATES ON THE INTERNATIONAL STAGE

აშშ-ს გამოსვლა საერთაშორისო ასპარეზზე

George Tsagareishvili
PHD student, Georgian Technical University
faculty of Law and International Relations
ORCID ID: 0009-0006-3866-4349
(+995) 599585960; geotsagareishvili@gmail.com

Abstract

This article explores the early period of the United States' formation as a nation, focusing on its struggle for independence from the ruling country. During this time, the young republic faced various challenges both domestically and internationally. While establishing its constitutional institutions, the nation cautiously ventured into foreign relations with other countries. The term "forced" refers to the cautious approach adopted by the young state to ensure its rapid development and success. The founding fathers of the United States believed that an isolationist policy in international affairs was necessary for the young republic's growth, as they feared that foreign entanglements could jeopardize the nascent statehood. From the late 18th century until the publication of the "Monroe Doctrine," the nation went through a period of testing its strength in the international arena. Over three decades, the United States cautiously expanded while colonizing the continent and establishing crucial foreign trade routes. The "Monroe Doctrine," the nation's first foreign doctrine, was based on the experiences gained during this period and the growing international ambitions of the newly formed nation. Despite having two oceans as natural borders, the United States faced external threats in the era of colonialism, which could pose significant obstacles. In the late 18th and early 19th centuries, the political leaders of the young republic took their first steps abroad, forging international agreements and establishing the first embassies in European capitals. As the United States was in its initial stages of statehood, everything was a first, requiring a solid foundation and bold decision-making. Therefore, understanding the origins of US foreign relations is vital to comprehending their nature.

Key words: USA, Monroe Doctrine, isolationism, messianism, neutrality, commercial expansion.

გიორგი ცაგარეიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და
საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი
ORCID ID: 0009-0006-3866-4349
(+995) 599 585 960; geotsagareishvili@gmail.com

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეძღვნება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერიოდს, როდესაც ამერიკულმა კოლონიებმა ბრძოლით მოიპოვეს დამოუკიდებლობა მეტროპოლიისგან. უამრავი საგარეო, თუ საშინაო გამოწვევების წინაშე მდგარი ახალგაზრდა რესპუბლიკა თან აყალიბებდა კონსტიტუციურ ინსტიტუტებს და თან იძულებული იყო საგარეო კავშირები დაემყარებინა იმჟამინდელი მსოფლიოს ქვეყნებთან. როცა ვიყენებთ სიტყვა „იძულებულს“, ვგულისხმობთ, პირველ რიგში, ახალგაზრდა სახელმწიფოს სიფრთხილესა და წინდახედულობას საგარეო ურთიერთობების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე. შეერთებული შტატების დამფუძნებელ მამებს ახალგაზრდა რესპუბლიკის სწრაფი განვითარების და წარმატების წინაპირობად საერთაშორისო ასპარეზზე იზოლაციონისტური პოლიტიკის გატარება მიაჩნდათ. ისინი უფრთხოდნენ საგარეო კავშირებს და დარწმუნებულები იყვნენ, რომ საგარეო ვალდებულებებს შეიძლება დამღუპველად ემოქმედა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სახელმწიფოებრიობაზე. მე-18 საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული „მონროს დოქტრინის“ გამოქვეყნებამდე იყო საგარეო ასპარეზზე ძალების მოსინჯვის პერიოდი. სამი ათწლეული მიილია იზოლაციონიზმის საფარქვეშ ფრთხილ ექსპანსიონიზმში, როცა მიმდინარეობდა კონტინენტის კოლონიზაცია და საგარეო ვაჭრობის ძირითადი ვექტორების ჩამოყალიბება. ამერიკის შეერთებული შტატების პირველი საგარეო დოქტრინა, „მონროს დოქტრინის“ სახელით ცნობილი, სწორედ უკვე არსებულ ამერიკულ გამოცდილებას და ახლადშექმნილ სახელმწიფოს მზარდ საერთაშორისო ამბიციებს დაეფუძნა. ერთი შეხედვით, ორი ოკეანით შემოსაზღვრულ ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს არ ჰყავდა კონტინენტზე კონკურენტი და მოწინააღმდეგე, მაგრამ კოლონიალიზმის ეპოქაში არსებობდა საგარეო საფრთხეები, რასაც შეეძლო შეერთებული შტატებისთვის დაუძლეველი წინააღმდეგობები შეექმნა. მე-18 საუკუნის დასასრულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში იყო ახალგაზრდა რესპუბლიკის პოლიტიკური ლიდერების საგარეო მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯები, პირველი საერთაშორისო შეთანხმებები, პირველი საელჩოები დაარსებული ევროპის სახელმწიფოთა დედაქალაქებში. შეერთებული შტატების სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, ყველაფერი პირველი იყო, ყველაფერს მყარ საფუძველზე დაფუძნება სჭირდებოდა და, რაც მთავარია, სჭირდებოდა თამამი გადაწყვეტილებები. ამდენად, შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების არსის გაგებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩავწვდეთ მის პირველსაწყისებს.

საკვანძო სიტყვები: აშშ, მონროს დოქტრინა, იზოლაციონალიზმი, მესიანიზმი, ნეიტრალიტეტი, კომერციული ექსპანსია.

შესავალი

აშშ-ს,როგორცზესახელმწიფოსროლისაერთაშორისოურთიერთობებში გააზრებულ უნდა იყოს მისი ისტორიული გამოცდილებიდან, ამჟამინდელი სტატუსიდან და სამომავლო პერსპექტივიდან გამომდინარე.

ისტორიული გამოცდილება კი ცხადყოფს, რომ აშშ-ს როლის გააზრება საერთაშორისო ასპარეზზე შეუძლებელია, თუ არ დავაკვირდებით შეერთებული შტატების ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბების ხანგრძლივ გზას. შეერთებული შტატები ნაბიჯ-ნაბიჯ იმკვიდრებდა კუთვნილ ადგილს საერთაშორისო სარბიელზე და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მისი მთავარი როლი მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში თვალშისაცემი გახდა.

„ვერ დაიმალება ქალაქი მთის მწვერვალზე გაშენებული“ - მათეს სახარების ეს შეგონება 1630 წლიდან დღემდე გამწევი ძალაა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის. სწორედ ამ წელს, მასაჩუსეტსის ყურის კოლონიის გუბერნატორმა ჯონ უინთროპმა თქვა: „ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ ვართ ქალაქი გორაკზე და ყველა ხალხის მზერა ჩვენკენაა მომართული“ (ქენქაძე, 2008: 18). ამ ფრაზამ დასაბამი მისცა ამერიკის განსაკუთრებულობის, გამორჩეულობის განცდას. ეს განცდა ყოვლისმომცველი იყო და დროთა განმავლობაში, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ღერძად იქცა. ჯონ უინთროპს და მის მიმდევრებს ღრმად სწამდათ, რომ მათკენ არამარტო მსოფლიოს ყველა ხალხის, არამედ პირველ რიგში თავად ღმერთის მზერა იყო მიმართული, რომელიც მათ ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა. მათ შთამომავლებს დღესაც სჯერათ, რომ ამერიკული ექსპანსიონიზმი ერთადერთი ჭეშმარიტი იდეაა, რომლის მიხედვითაც აშშ-ს განსაკუთრებული მისია გააჩნია მსოფლიოში. „ამერიკის განსაკუთრებულობა მხოლოდ შეერთებული შტატების უნიკალურობისა და განსაკუთრებული ღირსებების აღიარება როდია, არამედ იგი ამერიკას უწესებს სხვა ქვეყნებზე უფრო მაღალ მორალურ თამასას... განსაკუთრებულობამ შეიძლება ხელი შეუწყოს როგორც ჯვაროსნულ ინტერვენციონიზმს, ისე თვითკმაყოფილ გათიშულობას მსოფლიოს საქმეებისგან... ამერიკისთვის დამახასიათებელ შემართებას, მსოფლიოში გაავრცელოს ამერიკული იდეალები“(ჯენტლესონი, 2015: 127).

მეთოდი

სტატია ეფუძნება ისტორიულ შედარებით რეტროსპექტულ და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდებს, ასევე ემპირიული მასალის კრიტიკულ გააზრებას და განზოგადებას.

შედეგები

სტატიამ ცხადყო, რომ აშშ-ს საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრების პოლიტიკამრავალწახნაგოვანი იყო. ერთი მხრივ, ახალგაზრდა რესპუბლიკის ლიდერები ქადაგებდნენ შეერთებული შტატების იზოლაციონალიზმს, ხოლო მეორე მხრივ, ახლადშექმნილი სახელმწიფო აშკარად ამჟღავნებდა საგარეო ექსპანსიონიზმის ნიშნებს.

მსჯელობა

ამერიკის განსაკუთრებულობის მესიანისტური აღქმა პურიტანულ ახალ ინგლისში ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ჩაისახა. ეს განცდა ბევრი ფაქტორით იყო განპირობებული: ღვთისგან კურთხეული დაშორებით ევროპისგან, უაღრესად ხელსაყრელი პირობებით სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის, კოლონისტების მიერ უზარმაზარი კონტინენტის წარმატებული ათვისებით და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შემდგომი წინსვლისა და განვითარების უსაზღვრო პერსპექტივებით. შეერთებული შტატების ჩამოყალიბებამ მხოლოდ გააძლიერა ეს მესიანიზმი და მისცა მას ახალი პოლიტიკური განზომილება: აშშ ახლა წარმოდგენილი იყო როგორც უნიკალური რესპუბლიკური ექსპერიმენტი თავისუფლების მისაღწევად, რომელიც მოწოდებულია კაცობრიობის გასათავისუფლებლად მონარქიული ტირანიისა და დესპოტიზმისგან. ამრიგად, „ამერიკის მისია“ გარდასხვაფერდა „კაცობრიობის მისიად“, როგორც ამას აღნიშნავდა კოლონიების წამყვანი პუბლიცისტი თომას პეინი თავის პამფლეტში „საღი აზრი“. თომას პეინმა ასპარეზზე გამოიტანა იდეები, რომლებმაც მომავალი ორი საუკუნის მანძილზე ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები განსაზღვრა. „რაღაც აბსურდულია,“ წერდა თომას პეინი „როცა წარმოიდგენ, რომ კუნძულმა მუდმივად (ინგლისი) უნდა მართოს კონტინენტი (ამერიკა). პეინის აზრით, შეერთებულ შტატებს უფრო მაღალი მოწოდება ჰქონდა: „ამერიკის დანიშნულება დიდ ჯამში მთელი კაცობრიობის დანიშნულებაა... ჩვენ არ უნდა დავამყაროთ რაიმე ნაწილობრივი კავშირი მის (ევროპის) რომელიმე მხარესთან. ამერიკის ჭეშმარიტი ინტერესია, რომ არ ჩავერიოთ ევროპულ უთანხმოებაში.“ ამით პეინმა გააკეთა პირველი საჯარო განცხადება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ცნობილ ამერიკულ იზოლაციონიზმს - რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ამერიკელებს უნდა ჰქონოდათ მაქსიმუმი თავისუფლებისა იმ ამერიკული ინტერესების დასაცავად, რომლებიც მათივე აზრით უფრო „წმინდა“ და განსხვავებული იყო, ვიდრე ევროპელთა ინტერესები.“ (ქენქაძე, 2008: 28-29).

როგორც ისტორიკოსმა რეგინალდ ჰორსმანმა შენიშნა, პეინი ამერიკელებს დაეხმარა: „დაერწმუნებინათ თავიანთი თავი იმაში, რომ რაც კარგი იყო ამერიკისთვის კარგი იყო კაცობრიობისთვის“ (Horsman, 1985: 7).

უდავოა, რომ აშშ-ს დიპლომატია ორი საწყისის ჭიდილში გამოიწრთო. ერთი საწყისი აშშ-ს განსაკუთრებულობას ქადაგებდა, ხოლო მეორე - საერთაშორისო ურთიერთობებში მკვეთრ იზოლაციონალიზმს ამკვიდრებდა. მსოფლიოსგან და, განსაკუთრებით, ევროპული მოვლენებისგან გაუცხოება ამერიკელი ლიდერების შეგნებული და გააზრებული ნაბიჯი იყო. ყველაზე მეტად მათ აშინებდათ კავშირები და ალიანსები ევროპულ სახელმწიფოებთან. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ამგვარი კავშირები აუცილებლად გამოიწვევდა ახალგაზრდა სახელმწიფოს ჩართულობას ევროპაში მიმდინარე სისხლისმღვრელ კონფლიქტებში. ჯორჯ ვაშინგტონმა ჯერ კიდევ 1796 წელს ჩამოაყალიბა აშშ-ს საგარეო ურთიერთობების უმთავრესი თეზისი. აშშ-ს პირველი პრეზიდენტი აღნიშნავდა: „ისტორია და გამოცდილება მოწმობს, რომ

საგარეო გავლენა რესპუბლიკური მმართველობის ერთ-ერთი ყველაზე დამღუპველი მტერია...

უცხო სახელმწიფოებთან ჩვენი ურთიერთობების ძირითადი პრინციპი უნდა იყოს მათთან კომერციული ურთიერთობების გაღრმავება შეძლებისდაგვარად მცირე პოლიტიკური კავშირების პირობებში...

ევროპას აქვს ინტერესების მთელი რიგი, რომელსაც ჩვენთან არანაირი ან ძალიან მცირე შეხება აქვს. ამდენად, იგი ჩართულია მუდმივ წინააღმდეგობებში, რომელთა მიზეზები ჩვენი საზრუნავისთვის სრულიად უცხოა...

ჩვენი განცალკევებული და მოშორებული მდებარეობა სხვა რაკურსის განხორციელების საშუალებას გვაძლევს... რატომ ვთქვათ უარი ამგვარი განსაკუთრებული ვითარებით მონიჭებულ უპირატესობაზე?

ჩვენი ჭეშმარიტი პოლიტიკაა, თავი ავარიდოთ გარე სამყაროს ნებისმიერ ნაწილთან მუდმივ ალიანსს, რამდენადაც, როგორც მიმაჩნია, ჩვენ ახლა ამის თავისუფლება გვაქვს“ (ჯენტლესონი, 2015: 119).

ჯორჯ ვაშინგტონის გამოსამშვიდობებელ მიმართვაში ჩამოყალიბებული ხედვა წარმმართველ ძალად გადაიქცა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისთვის თითქმის მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე. სწორედ ამიტომაც, შეერთებული შტატების მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში ჩართულობაც ამბივალენტური იყო: საერთაშორისო კონტაქტები შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმ სფეროებით, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისთვის; მაგრამ, მეორე მხრივ, დასაშვებად და სასურველადაც კი იყო აღიარებული ძველი სამყაროს კონფლიქტებითა და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ნგრევით გაჩენილი შესაძლებლობების გამოყენება. ამ ამერიკული სანუკვარი მიზნების მიღწევის საშუალებები - მესიანიზმი, იზოლაციონალიზმი, ნეიტრალიტეტი და მსოფლიოს დასავლეთ ნახევარსფეროში დომინირება, ტერიტორიული და კომერციული ექსპანსია - მე-19 საუკუნის განმავლობაში უცვლელი დარჩა. რესპუბლიკის არსებობის საწყის პერიოდში, დომინანტური იყო იდეა, რომ ამერიკა ეს არის ექსპერიმენტი, სარისკო წამოწყება, რომელიც ეწინააღმდეგება ისტორიის მსვლელობას. აშშ-ს მესამე პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი 1801 წლის 4 მარტს თავის საინაუგურაციო სიტყვაში აღნიშნავს: „ღმერთს ვუმადლოდეთ, რომ ატლანტიკის ოკეანე უკიდეგანოა, რომელიც იცავს ამერიკას ევროპული კონფლიქტებისგან. ჩვენი მიზანია, მშვიდობა, ვაჭრობა და გულწრფელი მეგობრობა ყველა ნაციასთან, მაგრამ არა ჩვენი ჩათრევა, კავშირების მეშვეობით, სირთულეებში“(Печатнов, Манькин, 2012: 42). „დამფუძნებელი მამების“ ამგვარმა ამბივალენტურმა მოსაზრებებმა მყარი საფუძველი ჩაუყარეს აშშ-ს იზოლაციონალიზმს და ამავე დროს, წაახალისეს ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები და კომერციული კავშირები უახლოეს მეზობლებთან და განსაკუთრებით, ევროპის ქვეყნებთან. იზოლაციონალიზმი სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე იქნა აყვანილი, ხოლო სავაჭრო-კომერციული ინტერესები ამერიკული ექსპანსიონიზმის გამართლებად იქცა.

ამრიგად, ჩამოყალიბდა შთაბეჭდილება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახით ყოვლისშემძლემ შექმნა ნაცია თავისუფალი იმ მოტივებისგან, რომლებიც ასაზრდოებდა იმჟამინდელი მსოფლიოს სახელმწიფოებს. სწორედ ამ ყოვლისმომცველმა შეგრძნებამ ათქმევინა შეერთებული შტატების 28-ე პრეზიდენტს, ვუდრო უილსონს, რომ ამერიკა ერთადერთი იდეალისტური ნაციაა მსოფლიოში. იგი ფიქრობდა, რომ ამ ერის გული კრისტალურად სუფთაა და რომ ის დიდებული იდეალისტური ძალაა მსოფლიო ისტორიაში. ვუდრო უილსონს სწამდა, რომ შეერთებულ შტატებს ახასიათებს იმგვარი სულიერი ძალა, რომელიც არ გააჩნია არცერთ სხვა ნაციას. ამერიკა აღჭურვილია განუსაზღვრელი პრივილეგიით გადაარჩინოს კაცობრიობა და მსოფლიო. მსგავსი სულისკვეთებით იყო განმსჭვალული შეერთებული შტატების 36-ე პრეზიდენტის ლინდონ ჯონსონის სიტყვები, როდესაც მან აშშ-ს მსოფლიოში თავისუფლების დაცვის უზენაესი მისია დააკისრა. „პირველ რიგში, ჩვენ გვაკისრია პასუხისმგებლობა მსოფლიოში თავისუფლების დაცვაზე“ (Schlesinger, 1999: 18). შეერთებული შტატების მე-40 პრეზიდენტი რონალდ რეიგანი უფრო ხატოვნად განმარტავს აშშ-ს მისიას, როცა ამბობს: „მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს კურთხეული მიწა უჩვეულოდ იყო განცალკევებული სხვებისგან, რომ ღვთის განგებამ მოაქცია ეს დიდი კონტინენტი ოკეანეებს შორის, რათა ის აღმოეჩინათ თავისუფლების მოყვარე ადამიანებს დედამიწის ყველა კუთხიდან“ (Schlesinger, 1999: 18).

დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოლონიების დამოუკიდებელ სახელმ_ წიფოდ გამოცხადებას, უნდა მოჰყოლოდა უკვე ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო აღიარება. სხვა ქვეყნებთან ცივილიზებული პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბება შეერთებული შტატების საერთაშორისო აღიარების გარეშე, გამორიცხული იყო. კონტინენტალური კონგრესის ერთ-ერთი ლიდერი ვირჯინიელი რიჩარდ ლი 1776 წელს აღნიშნავდა, რომ ევროპის არცერთი სახელმწიფოდა არ ივაჭრებს ამერიკასთან იქამდე, სანამ ისინი ამერიკელებს თვლიან დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომებად. მისი აზრით, დამოუკიდებლობა ეს არ არის არჩევანი, არამედ აუცილებელი წინაპირობაა იმისთვის, რომ შეერთებულმა შტატებმა დაამყაროს საგარეო კავშირები. ამ სულისკვეთებას ეთანხმებოდნენ კოლონიებშიც და შემთხვევითი არ იყო, რომ კონგრესმა, დამოუკიდებლობის დეკლარაციასთან ერთად, დაადგინა, რომ აუცილებელი იყო ე.წ. „ტიპიური ხელშეკრულების“ პროექტის შემუშავება იმისთვის, რომ მომავალში შეერთებულ შტატებს დაემყარებინა პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან. კონგრესმა ჯონ ადამსის მიერ შემუშავებული ე.წ. „ტიპიური ხელშეკრულება“ დაამტკიცა 1776 წელს და მასში სრულად იყო ასახული ახალგაზრდა ამერიკული ელიტის საწყისი და მძლავრი განწყობა, რომ ახლადჩამოყალიბებულ რესპუბლიკას დაემყარებინა მჭიდრო საგარეო კავშირები. ამ ე.წ. „ტიპიური ხელშეკრულების“ „ლაიტმოტივი იყო ორმაგი ექსპანსია: სავაჭრო ექსპანსია - დაფუძნებული თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებზე, ტერიტორიული ექსპანსია - დაფუძნებული აშშ-ს გაფართოების უპირატეს უფლებებზე

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ფარგლებში“ (Печатнов, Маныкин, 2012: 42).ეს იყო ახალგაზრდა რესპუბლიკის პირველი განაცხადი საგარეო ვალდებულებების მინიმალიზაციის გზით მიეღწია ტერიტორიული გაფართოებისთვის კონტინენტის ფარგლებში. ამგვარი დამოკიდებულება გადაიქცა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის გზამკვლევად. 1775 წელს მეორე კონტინენტალურმა კონგრესმა შექმნა ხუთწევრიანი „კორესპონდენციის საიდუმლო კომიტეტი“, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტად ანუ საგარეო საქმეთა სამინისტროდ გადაიქცა. ახალგაზრდა რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობებისთვის უდავოდ პირველი და მნიშვნელოვანი მიღწევა იყო 1778 წლის 6 თებერვალს საფრანგეთთან გაფორმებული ორი ხელშეკრულება - „მეგობრობისა და ვაჭრობის“ და „შეთანხმება კავშირის შესახებ.“ საფრანგეთთან დადებულ საერთაშორისო შეთანხმებებს ბრიტანეთთან სისხლისმღვრელი ომის შემდეგ, 1783 წლის 3 სექტემბერს, მოჰყვა პარიზის ზავის გაფორმება, რითიც აშშ-მ ყოფილი მეტროპოლიისგან არამხოლოდ მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა, არამედ ორჯერ გაზარდა თავისი ტერიტორია. ეს იყო ახლადშექმნილი სახელმწიფოს დიპლომატიის ბრწყინვალე გამარჯვება. აშშ-მ ოსტატურად გამოიყენა ორ დიდ სახელმწიფოს შორის არსებული დაპირისპირება და ამ კონფლიქტის ფონზე, შეინარჩუნა და გაიმყარა თავისი დამოუკიდებლობა. აშშ-ს 1787 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, ჯეიმს მედისონი, აღიარებდა, რომ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის გაღვივებული კონფლიქტი საწინდარი გახდა ამერიკელი ხალხის თავისუფლებისა. ჰენრი კისინჯერი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „დიპლომატია“ აღნიშნავს, რომ: „რამდენადაც ვერც ერთი ევროპული სახელმწიფო რეალურად ვერ იქნებოდა ამერიკისთვის საფრთხის მომასწავებელი მანამდე, სანამ მათ საკუთარ მეტოქეებთან უწევდათ ურთიერთობები, დამფუძნებელმა მამებმა მშვენივრად გამოიყენეს ძალთა ბალანსი საკუთარი ინტერესებისთვის. მათ საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის მანევრირების ბრწყინვალე უნარი გამოამჟღავნეს, რითაც არა მხოლოდ საკუთარი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს, არამედ საზღვრებიც მნიშვნელოვნად გაიფართოვეს. რადგან საფრანგეთის რევოლუციურ ომებში არც ერთი მხარის საბოლოო გამარჯვება არ აძლევდათ ხელს, მათ ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს. ჯეფერსონმა ნაპოლეონის ომები კონტინენტის ტირანს (საფრანგეთს) და ოკეანის ტირანს (ინგლისი) შორის ჭიდილად გამოაცხადა, რას იმას ნიშნავდა, რომ ევროპულ ომში მონაწილე მხარეები მორალურად ეკვივალენტურნი იყვნენ. მიუმხრობლობის ადრეული ფორმის მორგებით, ახალგაზრდა ერმა ნეიტრალიტეტის მომგებიანი მხარეები აღმოაჩინა, როგორც ეს მომავალში მრავალმა ახალბედა ქვეყანამ მოიმოქმედა“ (კისინჯერი, 2021: 26-27). ამერიკის შეერთებული შტატები საერთაშორისო ასპარეზზე აგრძელებდა თვითდამკვიდრებას და ამ პროცესის თანმდევი შედეგი იყო შეუნელებელი ტერიტორიული ექსპანსია.

1794 წლის 19 ნოემბერს ლონდონში გაფორმდა შეთანხმება, რომელსაც შემდგომში დაერქვა „ჯეის შეთანხმება“, (აშშ-ს უზენაესი სასამართლოს

იმჟამინდელი თავმჯდომარის ჯონ ჯეის საპატივცემულოდ) რომლითაც ბრიტანელებმა იკისრეს ვალდებულება, ორი წლის მანძილზე ჩრდილო - დასავლეთის ფორტებიდან გაეყვანათ გარნიზონები, შეექმნათ საარბიტრაჟო კომისიები ამერიკული ვაჭრობისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, გაეხსნათ საკუთარი ვესტ-ინდოეთი ამერიკული ნაოსნობისთვის.

1800 წლის 3 ოქტომბერს საფრანგეთის რესპუბლიკასთან ხელი მოეწერა პარიზის (მორფონტენის) კონვენციას, რითიც აღდგა საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობები, მომავლისთვის გადაიდო კომპენსაციების საკითხი, ფაქტობრივად გაათავისუფლა შეერთებული შტატები 1778 წლის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან, დაამკვიდრა ნეიტრალური ვაჭრობის წესები, რომლებიც თითქმის იმეორებდა „ჯეის შეთანხმების“ პირობებს.

1803 წლის 2 მაისს აშშ-მ საფრანგეთისგან ლუიზიანა შეისყიდა, „რამაც ახალგაზრდა ერს დაუდგენელ საზღვრებიანი უზარმაზარი ტერიტორია მოუპოვა მისისიპის დასავლეთით და ასევე, პრეტენზიები ფლორიდისა და ტექსასის ესპანურ მიწებზე, რაც დიდ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საფუძველი იქცა“ (კისინჯერი, 2021: 27). ლუიზიანას ყიდვა უკავშირდებოდა შეერთებული შტატების „აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ავტორსა და ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მესამე პრეზიდენტს ტომას ჯეფერსონს. საინაუგურაციო სიტყვაში იგი ამბობდა, რომ მშვიდობა, ვაჭრობა და პატიოსანი მეგობრობა აშშ-ს უნდა ჰქონოდა ყველა ქვეყანასთან, ხოლო დამავალდებულებელი კავშირები - არავისთან. ჯეფერსონმა ოცნებობდა იმ დროზე, როცა ჩრდილოეთ და შესაძლოა სამხრეთ კონტინენტზე იცხოვრებდა ნაცია, რომელსაც ერთი სასაუბრო ენა ექნებოდა და რომელიც იქნებოდა ერთიანი მმართველობის ქვეშ. ასეთ მმართველობას ჯეფერსონი „თავისუფლების იმპერიას“ ეძახდა. ამერიკელმა მკვლევარებმა რობერტ ტაკერმა და დევიდ ჰენდრიკსონმა თავიანთ ნაშრომში “თავისუფლების იმპერია: ტომას ჯეფერსონი“ ბრწყინვალედ გააანალიზეს აშშ-ს რიგით მესამე პრეზიდენტის მმართველობის ფილოსოფია. „ჯეფერსონისეული საელმწიფო პოლიტიკის მთავარი დილემა მის მიერ იმ საშუალებების უარყოფაა, რომლებსაც სახელმწიფოები ოდითგანვე მიმართავდნენ საკუთარი უსაფრთხოებისა და ამბიციის დასაკმაყოფილებლად, და ამავდროულად მის მიერ იმგვარი ამბიციის უარყოფაა, რომელიც ხსენებული საშუალებების გამოყენებას იწვევდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას სურდა, რომ ამერიკას მიეღო ძალის ქონის ყველა სიკეთე, იმ არასასურველი ელემენტების გარეშე, რაც ძალის გამოყენებას მოჰყვებოდა“(Tucker, 1992:141). დღემდე ამ ორი მიდგომის ურთიერთჭიდილი ამერიკული საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს თემად რჩება. ახალგაზრდა რესპუბლიკამ წინ წაიმძღვარა ერთი მხრივ, მორალური საგარეო პოლიტიკა და, მეორე მხრივ, იზოლაციონიზმი. ამერიკელები შეერთებული შტატების დაარსებიდან მოყოლებული ერთა თანამშრომლობასა და ჰარმონიაზე დაფუძნებულ მსოფლიოზე ფიქრობდნენ. ისინი უარყოფდნენ დამკვიდრებულ ევროპულ აზრს, რომ სახელმწიფოთა მორალურობა ადამიანების მორალისგან განსხვავებული კატეგორიებით

უნდა შეფასდეს. ჯეფერსონის თანახმად, „არსებობს ეთიკის მხოლოდ ერთი სისტემა ადამიანებისა და ერებისთვის - მადლიერებისა, ერთგულებისა ყველა მოქმედებაში, ნებისმიერ გარემოებებში გახსნილობისა და გულუხვობის, რომელიც გრძელვადიანად ორივეს ინტერესს შეუწყობს ხელს“(კისინჯერი, 2021: 29). ვერც ბრიტანეთთან 1812-1814 წლებში წარმოებული ომის შედეგად განცდილმა მარცხმა და ვერც 1814 წლის 24 დეკემბერს გენტში გაფორმებულმა შეთანხმებამ შეცვალა ამერიკული საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორი. ბრიტანეთთან ომში შეერთებულმა შტატებმა მოკავშირეების გარეშე შესძლო საომარი კონფლიქტის ღირსეულად დასრულება. ამ მოვლენამ უდიდესი გავლენა იქონია ნაციონალურ თვითშეგნებაზე და საგრძნობლად აამაღლა ამერიკის საერთაშორისო ავტორიტეტი. ამერიკელებმა ბრიტანეთთან ამ ომს უწოდეს „მეორე ომი დამოუკიდებლობისთვის“. ომმა წერტილი დაუსვა ანგლო-ამერიკული ანტაგონიზმის ხანგრძლივ პერიოდს, რომელიც მალე პარტნიორულ ურთიერთობებში გადაიზარდა. „მეორე ომმა დამოუკიდებლობისთვის“ მძლავრი ბიძგი მისცა ნაციონალური მრეწველობის განვითარებას და აშშ-ს ეკონომიკური დამოუკიდებლობის გამყარებას. ამასთანავე, ბრიტანეთთან დასრულებულმა ომმა საბოლოოდ გატეხა ინდიელთა წინააღმდეგობა და წერტილი დაუსვა ინდიელთა საკითხებში საგარეო ჩარევას, რამაც, თავის მხრივ, გააძლიერა კონტინენტზე შეერთებული შტატების შემდგომი ექსპანსია.

დასკვნა

ჯორჯ ვაშინგტონის წინასწარმეტყველურმა თეზისებმა, რომელიც ფორმულირებული იყო მის გამოსამშვიდობებელ მიმართვაში, (ამის თაობაზე იხ. გვ.23) რეალური შედეგები მოიტანა. ვაშინგტონისეული „ხელოვნური კავშირებისგან თავშეკავება“ საგარეო პოლიტიკური იზოლაციონიზმის ფუძემდებლურ პრინციპად ითვლება, თუმცა რეალურად იგი ხელებს უთავისუფლებდა შეერთებულ შტატებს საერთაშორისო ასპარეზზე. ჯორჯ ვაშინგტონი „დამფუძნებელი მამების“ საერთო ხედვას ახმოვანებდა, როცა აღნიშნავდა, რომ: „თუ ჩვენ გავაგრძელებთ ერად არსებობას ეფექტური მმართველობის ქვეშ, არ არის შორს ის დრო, როცა შეერთებული შტატები ომსა და მშვიდობას შორის გააკეთებს სამართლიან არჩევანს, დაფუძნებულს მხოლოდ ჩვენს ინტერესზე“ (Печатнов, Маныкин, 2012: 39). საინტერესოა, რომ ჯორჯ ვაშინგტონის მიმართვის სამუშაო ვერსიაში ზემოთხსენებული მოსაზრება ასე იყო ჩამოყალიბებული: „თუკი ჩვენი სახელმწიფო შესძლებს მშვიდად იცხოვროს კიდევ ოცი წელი... მაშინ მისი მოსახლეობა, სიმდიდრე და ბუნებრივი რესურსები შეაძლებინებს მას, არ გაითვალისწინოს დიდ სახელმწიფოთა ინტერესები“(Печатнов, Маныкин, 2012: 39). „დამფუძნებელი მამების“ ოცნებები წინ უსწრებდა თავის ეპოქას და წინსწრებად აყალიბებდა ამერიკული საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს.

დამოწმებული წაროები და ლიტერატურა

kisinjeri, h. (2021). *diplomatia*. tbilisi: ilias universitetis gamomtsemloba. (კისინჯერი, ჰ. (2021). *დიპლომატია*. თბილისი: გამომცემლობა ინტელექტი.)

Pechatnov, B.O. Manikin, A.C. Istoria vneshnei politiki SSHA. *Mezhdunarodnie otnoshenia*. Moskva. (Печатнов, В.О. Маныкин, А.С. (2012). История внешней политики США. *Международные отношения.* Москва.).

Tucker, Robert W. Hendrickson, David C. (1992). *Empire of Liberty: The Statecraft of Thomas Jefferson*. New York. Oxford University Press.

kenkadze, k. (2008). *amerikis sheertebuli shtatebis sagareo politikis istoria*. tbilisi. (ქენქაძე, კ. (2008). *ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ისტორია.* თბილისი.).

Schlesinger, Ar. (1999). *The Cycles Of American History*. Boston. Mariner Books.

jentelsoni, b. (2015). amerikis sagareo politika . tbilisi: iliasa universitetis gamomtsemeloba. (ჯენტლესონი, ბ. (2015). *ამერიკის საგარეო პოლიტიკა.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.).

Horsman, R. (1985). *The Diplomacy of the New Republic. 1776-1815.* Illinois. Arlington Heights.